ოქმი:**ო37. 3725150001**

თარიღი:**30/05/2025**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2025 წელი, 28 მაისი

ქ. ოზურგეთი

11:00 -13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:ტ. არეშიძე ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, გ. შარაშენიძე, დ. მდინარაძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 28-მ, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 28-ხმით.

დღის წესრიგი

5.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 14 მარტის N4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნიკა ბოლქვაძე

თეიმურაზ მურვანიძე

ბექა თოიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა-28 ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ პროექტს არ ახლავს ახსნა-განმარტებითი ბარათი, ამასთან თანამომხსენებელს დაუსვა შეკითხვა-ამ დადგენილების მიღებით დასრულდა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება ამ საკითხთან დაკავშირებით? განუმარტეს, რომ მთავრობის მიერ ორგანიზებულ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების შეხვედრაზე მიღებული იქნა შეთანხმება-ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტებს ევალებათ სადგურების ლოკაციების მიზაშეწონილობის ცნობა.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და პროექტის დამტკიცებას მხარს უჭერს.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ- განხილვისა და ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა გ. სირაძემ განაცხადა, რატომ იყო ასეთი მცირე თანხა სარეზერვო ფონდიდან გაცემული მედიკამენტებით დახმარებაზე? უპასუხეს, რომ მედიკამენტებით დახმარებას ძირითადად პროგრამები უზრუნველყოფენ.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და ანგარიშის ცნობად მიღებას მხარს უჭერს.

18.3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნიკა ბოლქვაძე

გოჩა აბაშმაძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა- 28 ხმით

19.4. ქალაქ ოზურგეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე(საკ.კ.26.26.55.164) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:ნიკა ბოლქვაძე

თეიმურაზ მურვანიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა-28 ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და პროექტის დამტკიცებას მხარს უჭერს.

20.5. ქალაქ ოზურგეთში, აპოლონ წულაძის ქუჩაზე(საკ.კ.26.28.47.006) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნიკა ბოლქვაძე

თეიმურაზ მურვანიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა- 28 ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და პროექტის დამტკიცებას მხარს უჭერს.

21.6. დაბა ურეკში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე(საკ.კ.26.26.17.006) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნიკა ბოლქვაძე

თეიმურაზ მურვანიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა- 28 ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და პროექტის დამტკიცებას მხარს უჭერს.

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წელს დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

თანამომხსენებელმა ლ. ბიგვავამ სთხოვა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში მოხსენებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებასა და სახელმწიფო აუდიტის სამსხურისათვის გასაგზავნი ინფორმაციის მომზადებაში.

8. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ მიულოცა 26 მაისი-ეროვნული დამოუკიდებლობის დღე, ისაუბრა ქვეყნის სოციალ-ეკონომოკურ წარმატებებზე, აღნიშნა, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა ისეთი დამოუკიდებელი როგორიც ამჟამადაა, ისაუბრა სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებით ქვეყნის მიერ მიღწეულ მაღალ რეიტინგებზე, მთავრობის გამჭვირვალობის, კორუფციასთან ბრძოლის, დემოკრატიის განვითარების და სხვა. განაცხადა, რომ ქვეყნის განვითარების შესაბამისად ვითარდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტიც, რასაც ადასტურებს ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში. მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს გ. ღურჯუმელიძეს მიულოცა ახალი თანამდებობა და წარმატებები უსურვა სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ყოფილ სახელმწიფო რწმუნებულ გ. ურუშაძეს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი